

**მონასპა XII საუკუნის  
საქართველოში  
MONASPA IN THE  
XII CENTURY GEORGIA**

**ალექსანდრე წიქორიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო ნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Aleksandre Tsiqoridze**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

There are different opinions about Monaspa in Georgian Historiography. In general, personally the slave is not free, but some part of them was growing up as a “serf” and exactly on the basis of “Upbringing”, they performed their tasks of non-noble vassal-servants among the serfs.

Monaspas are not to be identified with the “Tadzreuli” (servants of the royal or feudal court) warriors. Tadzreuli is the staff emerging from the royal house domain in the palace, which was subject to differentiation.

The Monaspa basically may have been stuffed from representatives of different nationalities, based on ethnicity, who had been both released from captivity and slavery, as well as bought or captured persons. It is not excluded in their rows were entered as a voluntarily.

It is not beyond the realm of possibility that part of them were volunteers. The “Slaves” were the chosen ones, trained in martial arts, experienced and trusted warriors. They achieved such state of being due to their “Upbringing”. Based on the state military and political tasks, the formation of the Monaspa as an extensive, serious force should have generally begun from the 1110s.

During King David’s reign, their main function included being constantly prepared, implementation of operations of various type and extent. Later, the institution of Monaspa gradually diminished, reduced in number and modified its functions. The Monaspas of David’s and his heirs’ periods differ from each other. Further, their functions are basically limited to safeguarding of the king and the palace.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ისტორია, დავით აღმაშენებელი, მონასპის ინსტიტუტი.

**Keywords:** History of Georgia, King David Agmasheneli, Monaspi Institute.

მონასპის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში საინტერესო და ურთიერთსაინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. წყაროთა სიმწირის გამო ბოლომდე ვერ ხერხდება რიგი საკითხების დაზუსტება. ჩვენ შევეცდებით სხვადასხვა მოსაზრებათა და წყაროთა შეჯერებით მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოვაჩინოთ სურათი მონასპის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ, ვინ იყვნენ ე.წ. „მონები“, უფრო კონკრეტულად მონა მეომრები მე-12 საუკუნეში, როგორი იყო მათი სტატუსი და ადგილი სოციალურ იერარქიაში. საკითხი საკმაოდ არის შესწავლილი. მონა პირადად არათავისუფალია, „მონა შეიძლება გლახაკიც იყოს და ქონებრივად შეიძლება უფლები, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას აკლია ის, რაც მთავარია – თავისუფლება“ (ბერძენიშვილი 1974: 270). „სამსახურის ხასიათის მიხედვით მონათა შორის ორი კატეგორია განირჩეოდა: ყმა-მონებისა და არაყმა-მონებისა“ (ახალაია 1992: 65). ყმა ეწოდებოდა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მეომრებს. „ყოველი ყმა არ არის მონა და არც ყოველი მონა არ არის ყმა. ...იმის მიხედვით, თუ რა სამსახურს ასრულებს მონა, ის შეიძლება იყოს ან არ იყოს ყმა“ (ბერძენიშვილი 1974: 257). „ყმად“ „გაზრდილი“ მონა კი „გაზრდის“ საფუძველზე ფეოდალურ ჩვევებს იძენდა, ანუ მისი საქმიანობის სფეროს ფეოდალური სამსახური მოიცავდა, რაც კონკრეტულად საკურთხეო-საუხანდარმო-საპოლიციო-ადმინისტრაციული და სამხედრო სამსახურით შემოიფარგლებოდა. „ყმად“ გაზრდილი მონა სასახლის კარზე მყოფ ყმათა შორის არაკეთილშობილი ვასალის – მსახურის საქმიანობას ეწეოდა და, თუმცა ყმა-მონა სოციალური წარმომავლობით არათავისუფალი იყო, ხელი, ანუ სამსახური თავისუფალი კაცის – მსახურის ჰქონდა. ამ ხელს კი მას „გაზრდა“ ანიჭებდა“ (ახალაია 1992: 67).

ერთიანი აზრი არ არის ისტორიკოსებს შორის იმის შესახებ, მონასპა და ტაძრეულები სხვადასხვა თუ ერთი და იგივე კატეგორიები იყო, დავითის ღროს შექმნილი მონასპა განაგრძობდა თუ არა არსებობას მისი მემკვიდრეების ღროს. მაგ., „დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ე.წ. მონა-სპა იგივე ტაძრეული უნდა იყოს. ...ტაძრეულები სწორედ ის მონები (ანუ მონა-სპები) არიან, რომელთა რიცხვი 5000-ია და რომლებსაც დავითი მრავალ სარისკო საქმეში იყენებს“ (სტეფნაძე 1985: 32). „მონა-სპაც, მეფისა და სამეფო კარის მცველი ჯარი, ტაძრეულებში შედიოდა, ტაძრეულთა ერთ-ერთ ნაწილს შედგენდა. თამარის ღროს რომ მონა-სპა გაქრა, ეს მის არატაძრეულობაზე კი არ მიუთითებს, არამედ იმას, რომ „მონა-სპის“ გაქრობით გაქრა მხოლოდ „ტაძრეულთა“ ერთ-ერთი მისი შემადგენელი ნაწილი“ (გოგოლაძე 1981: 156). „მონა სპა შედგებოდა სამეფო მსახურთაგან, რომელნიც მონებად იწოდებოდნენ, თუმცა მონები არ იყვნენ“ (კაკაბაძე 1982: 37). „დავით აღმაშენებლის ღრვიდან ტაძრეულთა გვერდით მეფის კარზე იდგა მცველი ჯარის – „მონა-სპის“ 5000-იანი კორპუსი“, „მონა-სპის ტაძრეულად გამოცხადება

მართებული არაა. დავითის დროს შექმნილი „მონა-სპა“ თამარის დროს გაქრა, ტაძრეულები კი არ გამქრალან” (ჩხატარაიშვილი 1979: 61-62). „მსახურნი, ტაძრეულნი, დარბაზის ერნი, მონასპა, მცველთა ჯარი (სპარსული ყული) ერთი ტიპის მოვლენებია. დავითის „ტაძრეულები“ ეს იყვნენ, საფიქრებელია, სწორედ მისი გაზრდილები და გამზრდელები... დავითის ლაშქრის სრული სურათის მოცემისას ლაშქრის ამ სახეობას (ტაძრეულებს) არ იხსენიებს, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ავტორი იმ ტაძრეულებს ამ მონებში გულისხმობს... როგორც ჩანს, დავითმა აღადგინა ტაძრეულნის ინსტიტუტი, მაგრამ არა ქართველებისაგან შექმნა ის (უპირატესად?), არამედ უცხოელებისგან... გიორგის დროს სპის გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა მონასპა” (ბერძენიშვილი 1974: 43, 49, 50, 67.).

ჩვენი აზრით, საკამათოა მოსაზრება, რომ მონა-სპა იგივე ტაძრეულია, მონა-სპა ტაძრეულებში შედიოდა, მონა-სპა დავითის შემდგომ გაქრა. საკითხის გასარკვევად საჭიროა წყაროებში მოცემული სოციალური, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ა.შ. აღმნიშვნელი ტერმინების გაანალიზება, კერძოდ „ტაძრეულის“, „სახლეულის“, „დარბაზის ერის“, „ერი პალატისა“, „შინაური დარბაზის ერის“, „უხელო დარბაზის ერის“, „დარბაზის ყმის“, „შინაურის“ და სხვა. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ეპოქაში ამ ტერმინებს განსხვავებული შინაარსი შეიძლება ჰქონოდათ.

ზემოთ აღნიშნულზე საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა პროფ. ი. ანთელავამ ნაშრომში „საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა“, სადაც აღნიშნულია, რომ ძველი ქართული „სახლეულის“ ეკვივალენტი იყო ტერმინი „მონა“. „მას შემდეგ, რაც მეფის სახლი „სასახლედ“ იქცა, სამეფო სახლის „სახლეული-მონები“ იქცევიან „სასახლისეულად“, რისი ზუსტი გამოხატვაცაა ტერმინი „ტაძრეული“. შემდგომ „ტაძრეული“ უკვე არა „მონა-მხევალ“ „ტაძრეულს“, არამედ ღომენის ვასალს, ღომენის მსხვილსა და წვრილ ფეოდალებს, ასევე მსახურებს აღნიშნავს... XI-XIII საუკუნეში იგი უფრო ფართო მნიშვნელობასაც იძენს და საერთოდ სასახლის შტატის აღმნიშვნელად იხმარება „პალატის ერისა“ და „დარბაზის ერის“ გვერდით... ტერმინებმა „მონა“, „შინაური“ განიცადა მეტამორფოზა და გადაიქცა „შინაურ დარბაზის ერად“, რომელიც ეწოდებოდა „სამეფო სახლის ღომენიდან გამოსულ პერსონალს სასახლეში“, ისინი „მეფისათვის ყველაზე უფრო მისანდო, ერთგულ კონტინგენტად განიხილება, ყველაზე უფრო ახლოა მეფის პერსონასთან. დიფერენციაცია „შინაურებს“ შორისაც არის. ტერმინ „უხელო დარბაზის ერში“ იგულისხმება „დარბაზის ყმები“, ხასაგიანები, სამეფო ღომენის წვრილი აზნაურები და მსახურები. ეს კატეგორია წყაროებში „ლაშქარის“, „სპის“ და „ტაძრეულის“ სახელწოდებითაც მოიხსენიება“ (ანთელავა 1983: 18,21,22,23,26).

ნარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებები ბევრ კითხვას ბადებს: თუ წყაროებში ნახსენები „მონანი“, „მონა-სპა“ იდენტური იყო „სპის“, „ლაშქრის“, „უხელო დარბაზის ერის“ და საერთოდ ტაძრეულების, მაშინ რისთვის გახდა საჭირო დამატებით ამ ტერმინთა გამოყენება? თუ დავითმა აღადგინა ტაძრეულთა ინსტიტუტი, რომელთაც თავისი სპეციფიკური ფუნქცია ჰქონდათ, ვინ ასრულებდა ამ ფუნქციებს დავითამდე? თუ „მონა“, „შინაური“, „შინაური დარბაზის ერი“ სამეფო დომენიდან გამოსული პერსონალი ანუ უმეტესად ქართველები იყვნენ, მაშინ როგორ იყო მონასპა უცხოელებისგან დაკომპლექტებული? „დარბაზის ყმა“ თუ „გაზრდილობასთან“ იყო დაკავშირებული, „დარბაზის ყმები“ მონებიც შეიძლება ყოფილიყვნენ?

მოყვანილი შეხედულებების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ „უხელო დარბაზის ერი“ იყო სასახლის კარზე მყოფ მეომართა ძირითადი შემადგენლობა. მათში შემავალ „დარბაზის ყმებში“ „გაზრდილობის“ საფუძველზე შესაძლოა „მონებიც“ ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებოდნენ „სპისაგან“ (რომელიც „უხელო დარბაზის ერის“ შესატყვისია), ისინი მაინც სხვა სპები, „მონასპა“, „მონანი“ იყვნენ. თამარის ისტორიკოსი განასხვავებს ერთმანეთისაგან „რაზმები, სპები, მონასპები“, „დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (ქართლის ცხოვრება 1959: 25). ყმა მეომარი იყო, მებრძოლი მონაც ყმად ითვლებოდა. იგი „იზრდებოდა“ და „გაზრდილობის“ საფუძველზე თავისი პატრონის წინაშე სამხედრო ვალდებული იყო. ჩვენი აზრით, ეს ვითარება უმეტესწილად შეესაბამება თამარის, ვიდრე დავითის ეპოქას.

მონასპის და ტაძრეულების იგივეობის დასადგენად აუცილებელია ასევე მონასპის არაქართველობის და მისი ფუნქციების გარკვევა.

ისტორიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ მონასპა უცხოელთაგან იყო დაკომპლექტებული (უმეტესად მაინც). პროფ. შ. მესხია აღნიშნავდა, რომ დავითმა „შემიოკრიბა ერთგული მოლაშქრები და მათგან მუდმივი, არც ისე დიდი, მაგრამ ძლიერი პირადი გვარდია – „მონა-სპა“ შექმნა“ (მესხია 1972: 37). ეს აზრი გაიზიარა აკად. რ. მეტრეველმაც (მეტრეველი 1990: 154). ანუ გამოდის, რომ გამეფებისთანავე შექმნილ მონასპაში ძირითადად ქართველები შედიოდნენ. მონასპის არაქართველობაზე საუბრისას მკვლევრები ემყარებიან დავითის მემატთანეს ცნობას, რომ ისინი იყვნენ „ყოველნი ქრისტიანე-ქმნილნი“ (ცხოვრებაი 1992: 185). „ქრისტიანე-ქმნილნი“ გაგებულია როგორც გაქრისტიანებულები. თუ აღნიშნული შესიტყვება ნიშნავს ქრისტიანად შექმნილებს, ქრისტიანად დაბადებულებს, მაშინ ბევრი რამ შეიცვლება. ი. ჯავახიშვილი და ს. მარგიშვილი თვლიდნენ, რომ მონასპა ყივჩაყებისგან იყო შედგენილი (ჯავახიშვილი 1983: 215; მარგიშვილი 2006: 103, 119, 293; 2008: 51). იგივე შეხედულება აქვს მ. წურნუმიასაც (წურნუმი, 2013: 180). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. მონასპა რომ ყივჩაყებისგან გამოყოფილი იყო, დავითის

ისტორიკოსის სიტყვებიც უნდა ადასტურებდეს: „ესენი (ანუ ყივჩაყები) განასრულა ცხენებითა და საჭურვლელებითა; და კუალად მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ლუანლსა” (ცხოვრებაი 1992: 185). „კუალად” საბას განმარტებით ნიშნავს კიდეც (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 391), ანუ დავითს ყივჩაყთა გარდა კიდეც ჰყავდა მონანი. მათ ძირითად ნაწილს, როგორც ჩანს, უცხოელები წარმოადგენდნენ. „უცხოელ მეომარს არ ჰქონდა შიდა სახემწიფოებრივ სიტუაციებში მონაწილეობის მოტივაცია, რაც სტაბილური ანაზღაურების პირობებში უზრუნველყოფდა მის ერთგულ სამსახურს დამჭირავებელი სიუბერენისადმი” (მარგიშვილი 2006: 119). ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც ასე ხდებოდა, თუმცა სანაალმდევო მოვლენებსაც ჰქონდა ხოლმე ადგილი. მამ ვინ იყვნენ ეს უცხოელები? ეთნიკური ნიშნით ისინი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეიძლება ყოფილიყვნენ. „მონასპები უპატრონო, უგვარო ახალგაზრდები იყვნენ. მეფის მიერ გაზრდილნი მეფისვე ჯამაგირით ცხოვრობდნენ” (სტეფანაძე 1985: 14). დასაშვებია „მონათა” შევსება როგორც ტყვეობიდან, მონობიდან განთავისუფლებული, ასევე ნაყიდი თუ დატყვევებული პირებისგან. მათი შევსების ერთ-ერთი წყარო სამხედრო ტყვეები იქნებოდნენ: „ტყვეს არავითარი უფლება არ ჰქონდა, ის მონა იყო” (ბერძენიშვილი 1973: 60). არაა გამორიცხული, მათ რიგებში ნებაყოფლობით შესულებიც ყოფილიყვნენ, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ კლასიკურ მონებს, როგორც, მაგალითად, ძველ რომში. „მონები” რჩეული, საბრძოლო ხელოვნებაში განსწავლულნი, გამოცდილი და სანდო მეომრები იყვნენ. „პატრონი ყმების გვერდით მონებსაც ზრდიდა. ეს უკანასკნელი უეჭველია, უფრო მისანდონი იყვნენ პატრონისა, როგორც მათგან ყოველი მხრით დამოკიდებულნი” (ბერძენიშვილი 1974: 285). ამ მდგომარეობას ისინი აღწევდნენ „გაზრდის” საფუძველზე. „გაზრდა”, „ზრდილობა” გულისხმობდა „სარაინდო” ზნე-ჩვეულებების დაუფლებას. ამასთან, როგორც ჩანს, „ქრისტიანობა სავალდებულო იყო” (ბერძენიშვილი 1974: 50). ჯამაგირი ჰქონდათ თუ არა დანიშნული, წყაროებში პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ უდავოდ მეფის, სამეფო დომენის კმაყოფაზე იყვნენ. ჯამაგირისა თუ რაიმე სხვა სარგობე კონკრეტულად ვერ ვიტყვით. ჯ. სტეფანაძის მოსაზრებით: „ხანში შესვლისას და სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ კი – მიწას ეკიდებოდნენ და წვრილ ფეოდალებად იქცეოდნენ” (სტეფანაძე 1985: 14). მეფე რომ სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ მათზე იზრუნებდა, საკამათოს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ კონკრეტულად რა ფორმით, ამის შესახებ ზუსტად არ ვიცით. ვერ დავეთანხმებით ს. მარგიშვილის მოსაზრებას, რომ მონასპის დაკომპლექტება დაქირავების პრინციპით ხდებოდა და არა მონების ან ტყვეების ყიდვით (მარგიშვილი 2008: 51). შესაძლოა ნაყიდი მონა ან ტყვე ნაკლები რაოდენობით ყოფილიყო, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს შემდგომში მათთვის

ჯამაგირის გადახდას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, მით უმეტეს, თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, როგორ აფასებდა დავითი თავის „მონებს“. სელჩუკური გულიამები ნაყიდი მონებისგან შედგებოდა ძირითადად, მაგრამ „სამსახურის სანაცვლოდ, ლაშქრის სხვა სახეობათა მსგავსად, იკტა ეძლეოდათ, ხოლო ხაზინიდან სამ თვეში ერთხელ იღებდნენ გასამრჯელოს“ (შენგელია 1966: 157).

როდის შექმნა დავითმა მონასპა? წყაროში პირველად მოიხსენიება ყივჩაყთა გადმოყვანის ამბავთა თხრობისას, რაც ზოგმა მკვლევარმა დააკავშირა მონასპის ყივჩაყებით დაკომპლექტებასთან. შ. მესხია და რ. მეტრეველი მონასპის შექმნას დავითის მეფობის დასაწყისში ვარაუდობენ. დაახლოებით ამ პერიოდს ემხრობა ქ. ჩხატარაიშვილიც, რომელმაც ბიზანტიური არქონტოპულთა კორპუსი და მონასპა ორი ქვეყნისათვის დამახასიათებელ ანალოგიური ვითარებაში შექმნილად მიიჩნია (ჩხატარაიშვილი 1966: 164). ანალოგიაზე თუ ვიმსჯელებთ, მონასპა უფრო მეტად სელჩუკთა ლოლამთა გვარდიას წაგავს. ამ ფორმირების ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა დავითის მეფობის დასაწყისში, თუნდაც მძიმე ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მათი შენახვა საკმაოდ დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, ფულადი ანაზღაურების გარეშეც კი. მაგალითად, „ბაღდადის ხალიფების თურქი გვარდიელის ყოველთვიური გასამრჯელო საშუალოდ 5 დინარს შეადგენდა“ (მარგიშვილი 2006: 120). უკვე აღვნიშნეთ, რომ „მონები“ მეფის „რჩეულნი და განსწავლულნი“, მისივე „გაზრდილნი“, მთლიანად მეფეზე დამოკიდებული იყვნენ. სამეფო ხელისუფლებას უნდა უზრუნველყო ისინი იარაღით, ცხენებით და საკვებით. შეიარაღება, საბრძოლო ცხენი კი ძალიან ძვირი ღირდა. ნაალაფარი იარაღით მათი აღჭურვა ნაკლებად სავარაუდოა. მონასპა, როგორც წყაროდან ჩანს, ხელჩართული ბრძოლებისთვის (უმეტესად მაინც) განკუთვნილი ცხენოსანი ჯარია, რაც თავის მხრივ „მძიმე“ შეიარაღება-აღჭურვილობას მოითხოვდა. მეფობის დასაწყისში დავითის მცირერიცხოვან რაზმებს უმთავრესად მომთაბარებებთან უხდებოდათ შეტაკება, მათი ძირითადი ნაწილი კი მსუბუქი ცხენოსანი მოისრეები იყვნენ. ნაალაფარ იარაღზე საუბარი შეიძლება ერწუნის ბრძოლის და უფრო 1110 წლის შემდეგ, როცა სელჩუკთა ლაშქარს დაუპირისპირდნენ, სადაც მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნების გარკვეული რაოდენობა იყო. სამსახურის პერიოდში მიწას საკარგავის სახით, სავარაუდოდ, არ მიიღებდნენ. ამითაც განსხვავდებოდა მონასპა სამეფო დომენიდან გამოსული ტაძრეული სპიდან. სწორად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი: „ეს ინსტიტუტი ამოღენა ლაშქრით, რა თქმა უნდა, ერთი ხელის აღებით არ შეიქმნებოდა და ის, ბუნებრივია, ვიფიქროთ, თანდათან იქმნებოდა, ვიდრე ბოლოს 1120-იანი წლებისათვის, ავრე მრისხანე კორპუსი არ ჩამოყალიბდა“ (ბერძენიშვილი 1974: 51). მონასპის ფორმირება, სავარაუდოდ, უნდა

დანყებულები კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, თუმცა დასაშვებია ცალკეული „მონები“ ან მცირე რაზმი მანამდეც ჰყოლოდა მეფეს თავის პირად დაცვაში. მრავალრიცხოვანი, საგანგებოდ განვრთნილი სამხედრო ერთეულის ჩამოყალიბება სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკური ამოცანებიდან გამომდინარე მოხდა. ქართული მიწების ძირითადი ნაწილის შემოერთების შემდეგ, პარტიზანული საბრძოლო მოქმედებები თანდათან მეორეხარისხოვანი ხდება და პრიორიტეტი ენიჭება მონინალმდეგის (არაქართულ) ტერიტორიებზე ოპერაციების წარმოებას. ამისათვის უკვე რეგიონალური პარტიზანული სისტემა ნაკლებად გამოსადეგია. საჭირო ხდება უფრო მრავალრიცხოვანი, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი, საგანგებოდ განვრთნილი მეომართა კონტინგენტი, რომელიც მაღალი ინტენსივობით და წელიწადის ნებისმიერ დროს აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებებს. ასეთი ინტენსიური ოპერაციებისათვის ფეოდალური ლაშქარი მთელი რიგი მიზეზების გამო არ გამოდგებოდა. რაც შეეხება ტაძრეულ სპას, მათ სხვა ფუნქციებიც გააჩნდათ. სამეფო კარისა და მეფის დაცვის გარდა ისინი შეადგენდნენ სამეფო ქალაქების და ციხეების გარნიზონებს. ყოველი ახალი აღებული ციხე თუ ქალაქი, რომელიც უშუალოდ მეფის დაქვემდებარებაში იყო, ამცირებდა ტაძრეულთა ლაშქრად გამავალ მეომართა რაოდენობას. გასათვალისწინებელია ომებში მათი ფიზიკური დანაკარგიც. ამ ვითარებას უნდა ადასტურებდეს მემატიანის სიტყვებიც: „რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რაითამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თით მის თანა მყოფელად და მოლაშქრედმცა კმა იყვნეს დაუცხრომელსა და სამარადისოსა მისსა მომოსლვასა ზამთარ და ზაფხულ, გინალა სადამე ლაშქრობასა“ (ცხოვრებაი 1992: 182). ამ სიტყვების შემდეგ დავითის ისტორიკოსი ყივჩაყთა გადმოყვანაზე მოგვითხრობს და თითქოს ისე ჩანს, ლაშქრის არასაკმარისობა მათი გადმოსახლებით შეივსო, მაგრამ ტექსტში მათთან ერთად მონების, შემდეგ კი სამეფო სპის ხსენება ნათლად მიგვანიშნებს სამხედრო ძალების ამ თითოეული ელემენტის განსხვავებულობაზე, მათ სხვადასხვა ფუნქციებსა და ამოცანებზე.

დავით აღმაშენებლის მონასპა მეფის დაცვისათვის შექმნილ ფორმირებას არ წარმოადგენდა, თუმცა ამ მოვალეობის შესრულებაც შეეძლო. ცალკეული, განსაკუთრებით ერთგული და სანდო მონები შესაძლოა მისი პირადი დაცვის როლსაც ითავსებდნენ, მაგრამ მათი ძირითადი მოვალეობა მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა და ლაშქრობა იყო მეფესთან ერთად თუ მის გარეშე. ამას ადასტურებს როგორც ლოჭილის ხეობაში, ისე რანის ათაბაგის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციები.

დავითის შემდგომ მონასპის, როგორც სამხედრო ერთეულის, მოუხსენებლობამ მკვლევრებს აფიქრებინა მისი გაქრობა, დაკნინება თუ ტაძრეულებთან გაიგივება. ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ სავარაუდოდ დემეტრეს მეფობაში მონასპამ, როგორც ძლიერმა სამხედრო ერთეულმა, დაკნინება დაიწყო სახელმწიფოს სტრატეგიული და პოლიტიკური ამოცანების ცვლილებების გამო. დემეტრე უფრო მეტად თავდაცვით სტრატეგიაზეა ორიენტირებული, დავითის მონასპა კი შეტევითი სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტი იყო. მათი ნაწილი მოსაკარგავებდალ თუ წვრილ მემამულეებად გადაიქცა, თუმცა სრულად, როგორც ჩანს, არ გამქრალან. თამარის ეპოქაში იციან „მონების“ და მონასპის შესახებ, რასაც თამარის ისტორიკოსი და თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“ ადასტურებს. სწორედ დავითის შემდეგ უნდა გამხდარიყო მონასპის ძირითადი ფუნქცია მეფის და სამეფო სასახლის დაცვა. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, „მონასპა როგორც ინსტიტუტი მოიშალა... მაგრამ ის ჯერ კიდევ არის, როგორც ჩანს, გიორგი მეფის დროს და შეიძლება ვითქვით, ყუბასარი სწორედ ამ მონასპის სპასალარი იყო“ (ბერძენიშვილი, 1974: 69). რეალობასთან საკმაოდ ახლოსაა ეს მოსაზრება, მით უმეტეს, რომ ყუბასარი მეფის „გაზრდილია“ და მისი რაზმიც ასევე შესაძლებელია „გაზრდილი“ მონებისგან შედგებოდა. თამარის ისტორიკოსის ნახსენები „შინაურნი“ ნ. ბერძენიშვილმა და ე. ჩხატარაიშვილმა „დარბაზის ერთან“ დააკავშირა (ბერძენიშვილი 1974: 69; ჩხატარაიშვილი 1979: 52), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „შინაურის“, „მონის“ შესატყვის მნიშვნელობასაც, სავსებით შესაძლებელია „შინაურებში“ მეფის მცველი მონებიც ვიგულისხმოთ. აქ უკვე შეიძლება საუბარი მონების „შინაური დარბაზის ერის“, უფრო ზუსტად კი „უხელო დარბაზის ერის“ შემადგენლობაში ყოფნაზე, თუმცა ისინი მაინც განსხვავდებიან სხვა კატეგორიის მეომრებისაგან; „დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა“ (ვეფხისტყაოსანი 1966: 280, 1491) ამავეს უნდა ადასტურებდეს. „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები მონათა რაზმები 12, 40, 60-კაციანი შემადგენლობით მეფის და დიდ ფეოდალთა მცველი, მეაბჯრე მეომრების სახითაა ნახსენები. ასევე გვაქვს კარის მცველი მონა და ა.შ. მონათა ლაშქრის ხსენება მხატვრული ხერხია. თამარის ეპოქაში დავითის დროინდელი მონასპის მრავალრიცხოვანი და ძლიერი სამხედრო ერთეული აღარ არსებობს. მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამხედრო ორგანიზაციაში, სტრატეგიასა და პოლიტიკაში. მუდმივ მზადყოფნაში მყოფ სამხედრო ძალაზე მოთხოვნა ისევ არის, მაგრამ დავითის დროინდელი მონასპის ფუნქციას ნაწილობრივ ასრულებს „დარბაზის ერი“. „უკეთუ უმცირესი რაზე იყვის, მყის შესხნის დარბაისერნი თვისნი და, ვითარ შევარდენთა, მოისაქმიან“ (ქართლის ცხოვრება 1959: 130). ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავს: „მცირე ომს დარბაზის ერნი გადაიხდიანო“ (ბერძენიშვილი 1974: 69). ნაკლებად მასშტაბურ სამხედრო საფრთხეებზე, მყისიერი მოქმედებისთვის არსებობს „სწრაფი



რეაგირების ძალები” „ღარბაზის ერის” სახით, რომელიც უფრო პრევენციისათვის არის გათვლილი, მაშინ როცა დავითის “მონასპა” ინიციატივის ხელში აღებასა და შეტევაზეა ორიენტირებული.

ზემოთ განხილული საკითხებიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. მონასპა და ტაძრეულები სხვადასხვა კატეგორიები იყო. დავითის მონასპა მრავალრიცხოვან, „გაზრდილი” უცხოელი მეომრებისაგან დაკომპლექტებულ, მუდმივ მზადყოფნაში მყოფ, სამხედრო ძალების მნიშვნელოვან ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა, ტაძრეული სპა კი სამეფო დომენიდან გამოსულ მებრძოლთა ერთეულია.
2. დავითის მემკვიდრეებთან მონასპა კინდება, მცირდება და იცვლის ფუნქციებს.
3. მონასპა, როგორც მრავალრიცხოვანი და ბრძოლისუნარიანი სამხედრო ერთეული, ვერ შეიქმნებოდა XI საუკუნის 90-იან წლებში. მისი ჩამოყალიბება უნდა დაწყებულიყო XII საუკუნის 10-იანი წლებიდან.
4. დავითის მონასპა შეტევითი სტრატეგიის წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა. მეფისა და სასახლის დაცვა მისთვის მეორეხარისხოვანი ფუნქციაა.
5. დემეტრეს, გიორგი III-ის, თამარის დროს მონასპა მრავალრიცხოვანი, დამოუკიდებელი სამხედრო ფორმირება აღარაა და მისი ფუნქციები ძირითადად მეფისა და სასახლის დაცვით შემოიფარგლება.

#### დამონშებული ლიტერატურა და წყაროები

**ანთელავა 1983:** ანთელავა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა. თბილისი, 1983.

**ახალაია 1992:** ახალაია ტ., მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შურნალი „მაცნე”, №4, 1992.

**ბერძენიშვილი 1973:** ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბილისი, 1973.

**ბერძენიშვილი 1974:** ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბილისი, 1974.

**გოგოლაძე 1981:** გოგოლაძე დ., სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შურნალი „მაცნე”, №3, 1981.

**კაკაბაძე 1982:** კაკაბაძე ს., დიდგორის ომი. თბილისი, 1982.

**მარგიშვილი 2006:** მარგიშვილი ს., მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბილისი, 2006.

**მარგიშვილი 2008:** მარგიშვილი ს., შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. თბილისი, 2008.

**მესხია 1972:** მესხია შ., ძლევაი საკვირველი. თბილისი, 1972.

**მეტრეველი 1990:** მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი. თბილისი, 1990.  
**ორბელიანი 1991:** ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი, 1991.

**რუსთაველი 1966:** რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 1966.

**სტეფანაძე 1985:** სტეფანაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის I მეოთხედში. თბილისი, 1985.

**ქართლის ცხოვრება 1959:** ქართლის ცხოვრება, II. თბილისი, 1959.

**შენგელია 1966:** შენგელია ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბილისი, 1966.

**ჩხატარაიშვილი 1966:** ჩხატარაიშვილი ქ., უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი, 1966.

**ჩხატარაიშვილი 1979:** ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბილისი, 1979.

**ცხორებაი 1992:** ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი. საქართველოს ისტორიის წყაროები, 62. თბილისი, 1992.

**წურწუმია 2013:** წურწუმია მ., ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, III. თბილისი, 2013.

**ჯავახიშვილი 1983:** ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1983.